დავალება: ქვემოთ მოყვანილი table ცხრილის შევსების კიდევ ერთი მაგალითის ბაზაზე შეადგინეთ კოდი, რომელშიც ობიექტად არჩეული იქნება სხვა საგნობრივი გარემო (ბიბლიოთეკა, ჯგუფი, მეგობრების წრე და სხვ.)

```
<!DOCTYPE html>
<html>
 <title>W3.JS</title>
 <meta charset="utf-8">
<script src="https://www.w3schools.com/lib/w3.js"></script>
<script>
  var myObject= {"შემკვეთი":[
        {"გვარი_სახელი" : "აბაშიძე რევაზი","ქალაქი" : "ბათუმი","ტელ" : "111-11- 11-11"},
        {"გვარი_სახელი" : "ბერიძე გიორგი","ქალაქი" : "ქუთაისი","ტელ" : "222-22-22-22"},
        {"გვარი_სახელი" : "ბიბილაშვილი თეონა","ქალაქი" : "თბილისი","ტელ" : "333-33-33-33"},
        {"გვარი_სახელი" : "გიორგაძე დავითი", "ქალაქი" : "გორი","ტელ" : "444-44-44-44"},
        {"გვარი_სახელი" : "დვალი ზურაბი","ქალაქი" : "სამტრედია","ტელ" : "555-55-55-55"},
        {"გვარი_სახელი" : "ველიაშვილი ზაზა","ქალაქი" : "თელავი","ტელ" : "111-11-11-22"},
        {"გვარი_სახელი" : "თუთბერიძე ლიანა", "ქალაქი" : "ქუთაისი","ტელ" : "222-22-22-333"},
        {"გვარი_სახელი" : "ლომიძე ოთარი","ქალაქი" : "გორი","ტელ" : "333-33-33-444"},
        {"გვარი_სახელი" : "მონიავა ნინო","ქალაქი" : "სენაკი","ტელ" : "444-44-44-555"},
        {"გვარი_სახელი" : "მრევლიშვილი ნინო","ქალაქი" : "ხაშური","ტელ" : "555-55-55-99"},
```

```
{"გვარი_სახელი" : "ნარეშელაშვილი ლევანი","ქალაქი" : "ქარელი","ტელ" : "111-11-11-333"},
{"გვარი_სახელი" : "ოდიშარია კორნელი","ქალაქი" : "თბილისი","ტელ" : "222-22-22-444"},
{"გვარი_სახელი" : "სტურუა ელენე","ქალაქი" : "ქუთაისი","ტელ" : "333-33-33-777"},
{"გვარი_სახელი" : "უგულავა გიორგი","ქალაქი" : "ზუგდიდი","ტელ" : "444-44-44-888"},
{"გვარი_სახელი" : "ღაღანიძე გიგა","ქალაქი" : "ზესტაფონი","ტელ" : "555-55-55-999"},
{"გვარი_სახელი" : "შავიშვილი თორნიკე","ქალაქი" : "თბილისი","ტელ" : "111-11-11-444"},
{"გვარი_სახელი" : "ჩაჩანიძე გეგა","ქალაქი" : "თბილისი","ტელ" : "222-22-22-777"}
]};
</script>
<body>
 <h2 align='center'>Testing W3.JS in HTML</h2>
 <h3 align='center'><i>წარმოვადგენთ ობიექტიდან წამოღებული მონაცემების ცხრილში ასახვის კიდევ ერთ ვარიანტს.</i></h3>
 <h3>
 <table id="id01">
  <tr>
    <th>გვარი და სახელი</th>
    <th>ქალაქი</th>
    <th>ტელეფონი</th>
  </tr>
  <tr w3-repeat="შემკვეთი">
```

```
    <td>{{გვარი_სახელი}}</td>
    <td>{{ქალაქი}}</td>
    <td>{{ტელ}}</td>
  </tr>
 </table>
 </h3>
 <script>
   w3.displayObject("id01", myObject);
 </script>
</body>
</html>
```

განვიხილოთ <select> ელემენტის დახმარებით სიის შევსების მაგალითი და მისი შედეგი:

```
<!DOCTYPE html>
<html>
 <title>W3.JS</title>
<script src="https://www.w3schools.com/lib/w3.js"></script>
<body>
<h2>Testing W3.JS in HTML</h2>
<select id="id01">
  <option w3-repeat="x in cars">{{x}}</option>
</select>
<script>
w3.displayObject("id01", {"cars": ["Volvo", "Ford", "BMW",
"Mercedes" ]});
</script>
</body>
</html>
```

მონიტორზე აისახება ჩამოშლადი სია არჩევანის გასაკეთებლად:

Testing W3.JS in HTML

1.12. ცხრილებზე მანიპულაციის ჩატარების უფრო რთული მაგალითი

```
<!DOCTYPE html>
<html>
<title>W3.JS</title>
<script src="https://www.w3schools.com/lib/w3.js"></script>
<body>

<h2>Testing W3.JS in HTML</h2>

<table id="id01" border="1">
 <tr>
  <th>კლიენტი </th>
  <th>ქალაქი</th>
  <th >თანხა</th>
 </tr>
 <tr w3-repeat="შემკვეთი">
  <td>{{კლიენტი}}</td>
  <td>{{ქალაქი}}</td>
  <td style="text-align:right">{{თანხა}}</td>
 </tr>
 <tr>
```

```
        <td></td>
        <td></td>
        <td><b>{{total}}</b></td>
      </tr>
    </table>

    <script>
    var myObject= {"შემკვეთი":[
    {"კლიენტი" : "აბაშიძე რევაზი","ქალაქი" : "ბათუმი","თანხა" :
"111"},
    {"კლიენტი" : "ბერიძე გიორგი","ქალაქი" : "ქუთაისი","თანხა" :
"222"},
    {"კლიენტი" : "ბიბილაშვილი თეონა","ქალაქი" :
"თბილისი","თანხა" : "333"},
    {"კლიენტი" : "გიორგაძე დავითი", "ქალაქი" : "გორი","თანხა" :
"77"},
    {"კლიენტი" : "დვალი ზურაბი","ქალაქი" :
"სამტრედია","თანხა" : "222"},
    {"კლიენტი" : "ველიაშვილი ზაზა","ქალაქი" :
"თელავი","თანხა" : "111"},
    {"კლიენტი" : "შავიშვილი თორნიკე","ქალაქი" :
"თბილისი","თანხა" : "111"},
    {"კლიენტი" : "ჩაჩანიძე გეგა","ქალაქი" : "თბილისი","თანხა" :
"222"}
    ]};
        myFunction(myObject);
    function myFunction(myObject) {
      var i, total = 0;
      var myArray = myObject.შემკვეთი;
      for (i = 0; i < myArray.length; i++) {
```

```
  total += Number(myArray[i].თანხა);
 }
 myObject.total = total.toFixed(2);
 w3.displayObject("id01", myObject);
}
</script>
</body>
</html>
```

ფაილის შესრულებაზე გაშვების შემდეგ მონიტორზე აისახება ასეთი სურათი:

Testing W3.JS in HTML

კლიენტი	ქალაქი	თანხა
აბაშიძე რევაზი	ბათუმი	111
ბერიძე გიორგი	ქუთაისი	222
ბიბილაშვილი თეონა	თბილისი	333
გიორგაძე დავითი	გორი	77
დვალი ზურაბი	სამტრედია	222
ველიაშვილი ზაზა	თელავი	111
შავიშვილი თორნიკე	თბილისი	111
ჩაჩანიძე გეგა	თბილისი	222
		1409.00

თავი 2. Vue.js

2.1. შესავალი

Vue.js არის Javascript-ენის საფუძველზე აგებული ფრეიმვორკი. შესაბამისად, ამ პროგრამული პროდუქტის შესწავლის დაწყებამდე უნდა აღნიშნოს, რომ აუცილებელია გაცნობილი ვიყოთ HTML, CSS და JavaScript პროგრამული საშუალებების დანიშნულებასა და შესაძლებლობებს.

Vue.js-ის პირველი სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა 2015 წელს, იგი განიხილებოდა ReactJS და Angular ფრეიმვორკების კონკურენტად. თუმცა, სპეციალისტების შეხედულებით, ამ სისტემებთან შედარებით Vue.Js არის უფრო კომპაქტური, სწრაფქმედი და შედარებით ადვილად ასათვისებელი პროგრამული პროდუქტი, ამასთან ერთად, სტრუქტურულად უფრო მოქნილი და ადვილად მასშტაბირებადი სხვადასხვა მოცულობის და სიმძლავრის დანართების (აპლიკაციების) შექმნისას.

Vue.js-ის შესაძლებლობებით სარგებლობა ხდება მარტივად, პროექტის სცენარში შემდეგი JS-ფაილის ჩართვით:

```
<script
  src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js">
</script>
```

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, Vue.js-ის ღირსებებია:

- HTML-ელემენტების შემცველობასა და Javascript-ენის ოპერატორებს შორის კავშირების უზრუნველყოფა არა პირდაპირი მითითების გზით, არამედ შაბლონებზე დაყრდნობით;
- ამასთან, ამ 2 სახის მონაცემების ერთმანეთთან ორმხრივი ბმების მეშვეობით დაკავშირებით;

- სცენარების შესრულების პროცესის ცენტრალიზებული მართვა.

Vue.Js-ის თითოეული გამოყენება (დანართი) იწყება Vue ფესვური ეგზემპლარიდან და ექვემდებარება Model-view-ViewModel (MVVM) შაბლონებზე დაყრდნობის შედეგად შემუშავებულ კონცეფციას.

ეს კი ნიშნავს, რომ Vue-ეგზემპლარის (ეგზემპლარების), როგორც შუამავალთა, დახმარებით ხდება მონიტორზე ასახულ მონაცემებსა და მათ წარმოდგენებს შორის კავშირის დამყარება და **რენდერინგი.**

რენდერინგი (ინგლ. rendering) კომპიუტერული გრაფიკის სფეროს კუთვნილი ტერმინია და ზოგადად გულისხმობს ობიექტისათვის შექმნილ კომპიუტერულ მოდელში პარამეტრების ცვლილებისას ამ ობიექტის მონიტორზე ასახვას კომპიუტერული პროგრამისვე მეშვეობით. ანუ, რენდერინგისას ხდება აღნიშნულ მოდელში შეტანილი ცვლილებების ვიზუალიზება.

რაც შეეხება უშუალოდ Vue.js-ფრეიმვორკს, მასში მიმდინარე რენდერინგის (ვიზუალიზების) თავისებურებაა ის, რომ ამ შემთხვევაშიც ხდება Javascript-ენაზე შექმნილი მოდელის დაკავშირება HTML-ელემენტებთან და ამ უკანასკნელების შემცველობის განსაზღვრა, ოღონდ არა ტრადიციული, არამედ ამ ენისათვის სპეციალურად შემუშავებული, გაფართოებული სინტაქსის საფუძველზე.

სწორედ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს HTML-ელემენტებისათვის Javascript-ენაზე შექმნილ მოდელში ცვლილებების შეტანისას მონიტორზე მათ ადვილად და ავტომატურად ასახვას.

წინაპირობები Vue.js-ფრეიმვორკის შესწავლისათვის გახლავთ HTML, CSS Javascript პროგრამული პროდუქტების

დანიშნულებისა და შესაძლებლობების ცოდნა და გამოყენების უნარი.

შენიშვნა: Vue.js-ში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს კოდის დაწერის 2 ხერხი:

ერთი მათგანი ეყრდნობა API-პარამეტრებით მანიპულირებას, მეორე კი იყენებს API-კომპოზიციებს. კონცეფციები ორივესათვის მსგავსია. დეველოპერები თვლიან, რომ ფრეიმვორკის შესაძლებლობების შესწავლის დაწყება უმჯობესია პირველი გზით, როგორც უფრო ადვილად აღქმადით, და ამ სახელმძღვანელოშიც სწორედ იგი იქნება გამოყენებული.

ამრიგად, Vue.js აფართოებს HTML-ენის შესაძლებლობებს, უმატებს რა ამ ენას მეტ ფუნქციონალობას. კერძოდ, Vue.js-ის მეშვეობით ხდება Javascript ენაზე აღწერილ მოდელში არსებული მიმდინარე მდგომარეობის ავტომატური ასახვა მონიტორზე HTML-ელემენტების განახლების შედეგად და შესაძლებელია - პირიქითაც.

თუ ვიყენებთ „სუფთა“ Javascript-ს, მაშინ ჩვენ გვიხდება ამ ენის ოპერატორებსა და HTML-ელემენტებს შორის კავშირების დეტალურად აღწერა, ხოლო Vue.js-თი სარგებლობის შემთხვევაში კი მხოლოდ მიეთითება, რომ მათ შორის კავშირი არსებობს. დანარჩენი მანიპულაციების ჩატარებაზე ფრეიმვორკი თვითონვე იზრუნებს.

Vue.js ფრეიმვორკის შესაძლებლობების შემსწავლელი მაგალითების დემონსტრირებამდე, ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფორმატიკის დარგის განვითარება მეტად სწრაფი ტემპებით ხდება, მასში კი ამ მხრივ ვებტექნოლოგიების მიმართულება გამოირჩევა და პროგრამული პროდუქტები და მიდგომები, რომლებიც ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ,

გუშინ პროგრამისტების არსენალში მყარად დამკვიდრებული ჩანდნენ, დღეს (და მით უფრო ხვალ) ახლებით იცვლება ანდა უნდა შეიცვალოს!

და გამონაკლისი არც პროგრამული პროდუქტი Vue.js ფრეიმვორკია.

მართლაც, ერთი წელიც არ არის გასული, რაც ამ პროდუქტის შესწავლა სპეციალიზებულ საიტებზე იწყებოდა ქვემოთ მოყვანილი სახის სცენარებზე დაყრდნობით.

2.2. Vue.js ფრეიმვორკის შესაძლებლობების მაგალითები

მაგალითი_1

```
<div id="app">
  <h1>{{ message }}</h1>
</div>

<script>
  var myObject = new Vue({
    el: '#app',
    data: {message: 'Hello Vue!'}
  })
</script>
```

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ფაილის შესრულებაზე გაშვების წინ სასურველია უფრო სრულყოფილი სახე მივცეთ ზემოთ მოყვანილ მაგალითს, რაც უნდა მოხდეს მასში დამატებითი ინფორმაციის ჩართვით.

გარდა ამისა, მოყვანილი სცენარის არსის უკეთ გაგების მიზნით, მასში ოპერატორებთან უნდა მიერთდეს კომენტარების სახით წარმოდგენილი შესაბამისი განმარტებებიც.

ასეთი ქმედებების შედეგად ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარების პროცესში გაგვიადვილდება როგორც სცენარში თავიდანვე არსებული ოპერატორების, ასევე - ჩვენ მიერ წამოყენებული სხვადასხვა მოსაზრებების შესამოწმებლად სცენარში შეტანილი კორექტივების დანიშნულების გაგება.

მაგალითი_1_1

```
<!DOCTYPE html>
<html>
  <script rc="https://cdn.jsdelivr.net/npm/vue@2/dist/vue.js"></script>
<body>
<center>
 <div id="app">
  <h1>{{ message }}</h1>
 </div>
</center>

<script>
 var app = new Vue({
   el: '#app',
  data: {message: 'Hello Vue!'}  // შეტყობინება მონიტორის შესაბამის უბანზე (html-ელემენტში) თავიდანვე აისახება და ავტომატურად - ამ ობიექტში  შემდგომში ცვლილებების შეტანისას.
 })
</script>

<!--
 HTML-ელემენტთან კ ა ვ შ ი რ ი ხორციელდება არა უ შ უ ა ლ ო დ, არამედ - დ ა ნ ა რ თ ი ს მეშვეობით.
```

ამასთან, გადასაგზავნი მონაცემების ყოველი ცვლილებისას იქმნება Vue-ობიექტის ახალი ეგზემპლარი.

ნებისმიერ დანართს დასაწყისში უნდა გააჩნდეს თუნდაც ერთი Vue-ეგზემპლარი.

ეს ეგზემპლარი მიებმება DOM-ში რომელიმე HTML-კვანძს და შ ე მ დ ე გ მართავს მას. მიბმა ხდება el-თვისებით.

HTML-ფაილისათვის შესაძლებელია შეიქმნას ნებისმიერი რაოდენობის ეგზემპლარები.

-->

</body>

</html>

ქვემოთ წარმოდგენილი არის წინა სცენარის მოდიფიცირებული „*მაგალითი_1_2“* და „*მაგალითი_1_3“* ვარიანტები:

მაგალითი_1_2

```
<!DOCTYPE html>
<html>
 <script src="https://cdn.jsdelivr.net/npm/vue@2/dist/vue.js">
</script>
<body>
<center>
 <h1 id="app">  <!-- წინა ფაილთან შედარებით ამ უბანზე მოხდა სახეცვლილება. შედეგი იგივეა. -->
  {{ message }}
 </h1>
</center>
<script>
  var app = new Vue({
   el: '#app',
```

```
  data: {message: 'Hello Vue!'}  // შეტყობინება მონიტორის
შესაბამის უბანზე (html-ელემენტში) ეგრევე აისახება და ასევე
ავტომატურად ამ ობიექტში შემდგომ ცვლილებების შეტანისას.
 })
</script>
</body>
</html>
```

განვიხილოთ ისეთი სცენარების მაგალითები, რომლებშიც მოდელში არსებული მონაცემების (ან მასში შეტანილი ცვლილებების) მონიტორზე ასახვა ხდება <button> ღილაკზე ხელის დაჭერით ნებართვის გაცემის შედეგად:

მაგალითი_1_3

```
<!DOCTYPE html>
<html>
  <script
src="https://cdn.jsdelivr.net/npm/vue@2/dist/vue.js"></script>
<body>
<center>
 <h1>Vue.js</h1>
<h3>ამ ვარიანტში, წინათაგან განსხვავებით, დამატებულია
    button-ღილაკი (არჩევანის მოსაფიქრებლად).
</h3>
<div id="app">
 <h2> {{ message }} </h2>
</div>
<h2>
 <button onclick="myFunction()"><h2>Click!</h2>
  </button>
```

```
</h2>
</center>
<script>
  var myObject = new Vue({
    el: '#app',
    data: {message: 'Hello Vue!'}
  })
  function myFunction() {
    myObject.message = "John Doe";
  }
</script>
</body>
</html>
```

Vue.js ფრეიმვორკის უახლეს ვერსიაში, პროგრამისტებისათვის სამუშაოს უფრო გამარტივების მიზნით, მოხდა ზემოთ დემონსტრირებული კონცეფციის მოდიფიცირება.

კერძოდ, პირველივე სცენარში დასახული მიზანი ამჯერად ასეთი გზით მიიღწევა:

```
<!DOCTYPE html>
<html lang="en">
<head>
  <title>My first Vue page</title>
</head>
<body>

  <div id="app">
    {{ message }}
  </div>
```

```
<!-- ქვემოთ script-უბანში ჩამოიტვირთება js-ფაილი Vue-
ფრეიმვორკის კოდის ინტერპრეტირებისათვის
-->
  <script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
  <script>
    const app=Vue.createApp({ // Vue კოდით ვქმნით app სახელის
Vue-ეგზემპლარს.
      data() {
        return {
          message: "Hello World!"
        }
      }
    })
   app.mount('#app')  // app-ეგზემპლარი მიუერთდება id="app" მქონე
ელემენტს.
    </script>
</body>
</html>
```

მონიტორზე ასახული ინფორმაციის ვიზუალური მხარის სრულყოფისათვის კი ასეთი სცენარით:

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
  <title>My first Vue page</title>
  <style>
    #app {
      display: inline-block;
      padding: 10px;
      font-size: x-large;
      background-color: lightgreen;
```

```
   }
  </style>
</head>
<body>
<h1>Vue Example</h1>
<h3>შეტყობინება (მესიჯი) Vue-ობიექტის app-ეგზემპლარის
        message-თვისებიდან იგზავნება id="app" იდენტიფიკატორით
        კვალიფიცირებული html-ელემენტის {{message}} უბანში.
</h3>
<div id="app">
  {{ message }}
</div>
<!-- ქვემოთ script-უბანში ჩამოიტვირთება js-ფაილი Vue-
ფრეიმვორკის კოდის ინტერპრეტირებისათვის -- >
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
   data() {
    return {
     message: "Hello World!"JS
    }
   }
  })
    app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

მივაქციოთ ყურადღება - ზემოთ მოყვანილ სცენარებში შესაბამის უბანში ახალ მისამართზე დაყრდნობით შეცვლილია ადრინდელი ფაილი, რომლის სცენარში ჩამოტვირთითაც საშუალება გვეძლევა გამოვიყენოთ Vue.Js ფრეიმვორკის შესაძლებლობები:

```
<script
  src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js">
</script>
```

გარდა Vue.Js-ეგზემპლარიდან წამოღებული ტექსტის ამ თუ იმ HTML-ელემენტის {{message }} უბანში განთავსებისა, დასაშვებია {{ }} ფიგურულ ფრჩხილებში განვათავსოთ Javascript ენაზე დაწერილი გამოსახულებებიც.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში პროგრამის შესრულებაზე გაშვებისას დამატებით გამოდის ინფორმაცია შემთხვევით არჩეული რიცხვის თაობაზეც წინასწარ განსაზღვრული დიაპაზონიდან:

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
  <title>My first Vue page</title>
  <style>
    #app {
      display: inline-block;
      padding: 10px;
      font-size: x-large;
      background-color: lightgreen;
    }
  </style>
</head>
<body>

  <h3>ამ მაგალითში, წინასგან განსხვავებით, მონიტორზე აისახება ინფორმაცია <br/>
    1 – 6 დიაპაზონში შემთხვევითობის წესით  არჩეული რიცხვის შესახებაც.
  </h3>
    <div id="app">
```

```
        {{ message }} <br>
        {{'Random number: ' + Math.ceil(Math.random()*6) }}
      </div>
      <script
src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
      <script>
        const app = Vue.createApp({
         data() {
          return {
           message: "Hello World!"
          }
         }
        })
          app.mount('#app')
      </script>
      </body>
      </html>
```

მომდევნო პარაგრაფებში გავეცნობით მონიტორზე გამოსაყვანი ინფორმაციის უფრო სრულყოფილად მართვისათვის განკუთვნილ საშუალებებს - **დირექტივებს.**

2.3. დირექტივები

ზემოთ განხილული მაგალითებისაგან განსხვავებით, უფრო რთული მიზნების რეალიზებისათვის Vue.js ფრეიმვორკი HTML-ელემენტებისათვის იყენებს სპეციფიკურ ატრიბუტებს, რომელთაც ეწოდებათ **დირექტივები**.

დირექტივების მეშვეობით ხდება HTML-ელემენტე-ბისათვის დანიშნული ატრიბუტების შესაძლებლობების გაფართოება და მათი მეშვეობით - ამ ელემენტებზე სხვადასხვა ოპერაციის ჩატარება გამოსახულებების დახმარებით.

გარეგნულად ასეთი ატრიბუტების განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მათ წინ უძღვით v-პრეფიქსი.

დირექტივები 2 სახისაა:

1. ჩაშენებული;
2. მომხმარებლების მიერ ფორმირებული.

დირექტივებზე რეაგირების მომხდენ HTML-ელემენტებშიც Vue-ობიექტის ეგზემპლარიდან გადმოგზავნილი მონაცემების ჩასმა ხდება {{ }} ფიგურულ ფრჩხილებში.

Vue-დირექტივებზე დაყრდნობით მომხმარებლისათვის იქმნება დინამიკური და რეაქტიული სახის ინტერფეისები და, ამასთან ერთად, გაცილებით ადვილდება ასეთი ადაპტური ვებგვერდების შექმნა, ვიდრე ეს ხერხდება JavaScript-ენაში არსებული ტრადიციული მეთოდებით.

შენიშვნა: მდგომარეობა, რომლის ცვლილებასაც შეუძლია მონიტორზე გამოსახულების განახლება, იწოდება **რეაქტიულად.** ასეთი მდგომარეობის გამოცხადება შესაძლებელია reactive() ფუნქციით შექმნილი ობიექტებისათვის.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ის დირექტივები, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე სახელმძღვანელოში:

დირექტივა	დანიშნულება
v-bind	HTML-ელემენტის ატრიბუტს აკავშირებს Vue-ეგზემპლარში გამოცხადებული ცვლადის შიგთავსთან.

დირექტივა	დანიშნულება
v-if	ქმნის HTML-ტეგებს რაიმე პირობის შესრულებისას. მასთან ერთად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს v-else-if და v-else დირექტივებიც.
v-show	განსაზღვრული პირობის შესრულებისას განაპირობებს მონიტორზე HTML-ელემენტის ჩვენებას.
v-for	Vue-ეგზემპლარში გამოცხადებული მასივიდან for-ციკლის მეშვეობით აფორმირებს ტეგების სიას.
v-on	HTML-ტეგში (ან ტეგზე) განხორციელებული ხდომილობისას მყარდება კავშირი JavaScript გამოსახულებასა ანდა Vue-ეგზემპლარის მეთოდთან.
v-model	დირექტივას იყენებენ <form>, <input> და <button> ტეგებში. მისი მეშვეობით შეტანის ელემენტსა და Vue-ეგზემპლარში მონაცემის თვისებას შორის

დირექტივა	დანიშნულება
	შორის ხორციელდება ორმხრივი მიბმა.

ვაჩვენოთ ზემოთ მოყვანილი დირექტივების გამოყენების მაგალითები.

დავიწყოთ v-bind დირექტივის დანიშნულების შესწავლით (Vue.Js ფრეიმვორკის წინა ვერსიიდან).

ამ დირექტივის მეშვეობით title ელემენტი ებმება Vue-ობიექტის ეგზემპლარში message-თვისებას და მასზე შესაბამისი ქმედებისას რეაგირებს ამ თვისებაში მომხდარ ცვლილებებზე:

```
<script src="https://cdn.jsdelivr.net/npm/vue@2/dist/vue.js">
</script>
<h2 align='center' id="app-2">
  <span v-bind:title="message"> ამ უბანზე კურსორი
     დააყოვნეთ 2-3 წამით და დაინახავთ, რომ title
     ატრიბუტის მნ-ბა განახლდება!
  </span>
</h2>
<script>
 var app2 = new Vue({
   el: '#app-2',
   data: {
    message: 'ფურცელი ჩაიტვირთა: ' + new
Date().toLocaleString()
   }
 })
```

/*

აქ სიახლეა v-bind ატრიბუტის შემოტანა. ჩვეულებრივი ატრიბუტისგან მას განასხვავებს შემდეგი ნიშანი - v-პრეფიქსი, რომელიც მასთან კავშირში მყოფ ელემენტს ანიჭებს რეაქტიულობის უნარს.

მოცემულ შემთხვევაში title ელემენტი მასზე განხორციელებული შესაბამისი ქმედებისას რეაგირებს Vue-ობიექტის ეგზემპლარში არსებულ message-თვისებაში მომხდარ ცვლილებებზე.

*/

</script>

ამრიგად, Vue-ობიექტის მიბმა HTML-ელემენტთან განაპირობებს მისი შიგთავსის მოდიფიცირებას ამ Vue-ობიექტში ცვლილებების შეტანისას.

მოვიყვანოთ v-bind დირექტივით სარგებლობის ისეთი მაგალითიც, რომელშიც ბროუზერს ევალება გაარკვიოს, თუ Vue-ობიექტის ეგზემპლარში არსებულ რომელ კლასს უნდა მიუერთოს ელემენტი:

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
 <title>My first Vue page</title>
 <style>
  div {
   margin: 10px;
   padding: 10px;
   border: solid black 1px;
   display: inline-block;
```

```
  }
  .pinkBG{
    background-color: lightpink;
  }
 </style>
</head>
<body>
<h1>'v-bind' Example</h1>
<p>ამ მაგალითში ბროუზერი კლასს ეძებს Vue-ეგზემპლარში.</p>
<div id="app">
  <p> ბროუზერი კლასს პოულობს Vue-ეგზემპლარში და ამ div-
      ელემენტში ყველგან იქნება შესაძლებელი ეგზემპლარში
      არსებული ინფორმაციებით სარგებლობა.
  </p>
  <div v-bind:class="vueClass">ეს ელემენტი კავშირშია "pinkBG"-
      კლასთან.
    </div>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
 const app = Vue.createApp({
  data() {
   return {
    vueClass: "pinkBG"
   }
  }
 })
 app.mount('#app')
</script>
```

```
</body>
</html>
```

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში HTMI-ელემენტზე მანიპულაცია ხორციელდება არა {{ }} ფრჩხილების შიგთავსის ცვლილებით, არამედ გამოყენებულია განსხვავებული მიდგომა, კერძოდ, ეს HTMI-ელემენტი ცხადდება Vue-ეგზემპლარში არსებულ კლასთან მიბმულად (რის შედეგადაც, მაგალითად, ბოლო შემთხვევაში იცვლება HTML-ელემენტის დიზაინი).

შენიშვნა: მსგავსი დანიშნულების ამოცანების გადაწყვეტა, ცხადია, უფრო მარტივი გზებითაც არის შესაძლებელი, კერძოდ, Vue-კოდის გამოყენების გარეშე, მაგრამ ასეთი მიდგომები მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა მაშინ, როდესაც საჭირო ხდება გაცილებით რთული და უფრო მოცულობითი საიტების ადაპტური გვერდების სახით წარმოდგენა.

2.4. პირობის შესრულებაზე დამოკიდებული რენდერინგი (v-if, v-else-if და v-else დირექტივები)

ცნობილია, რომ JavaScript-ენა თავისი ოპერატორების მეშვეობით იძლევა HTM-ელემენტებისა და მათი ატრიბუტების შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ ეს პროცესები გაცილებით უფრო მარტივად ხორციელდება v-if, v-else-if და v-else დირექტივების დახმარებით.

ჯერ ვაჩვენოთ v-if და v-else დირექტივების ერთმანეთისაგან განცალკევებით გამოყენების მაგალითი:

მაგალითი_1_1

```
<html>
<head>
```

```
 <title>Typewriters</title>
 <style>
  #app {
    border: dashed blue 2px;
    width: 99px;
    padding-left: 15px;
    font-weight: bold;
    background-color: lightgreen;
  }
 </style>
</head>
<body>
<h2 align="center">წარმოვადგენთ 'v-if' და 'v-else'დირექტივების
            გამოყენების მაგალითს.</h2>
<h3 align="center">Vue-ეგზემპლარში 'typewritersInStock'-ისათვის
            «true» მნიშვნელობა შეცვალეთ «false»-თი და სცენარი
            ხელახლა გაუშვით შესრულებაზე!
</h3>
<div id="app">
 <p v-if="typewritersInStock">
  გაყიდვაშია
 </p>
 <p v-else>
  შემოგვიარეთ ხვალ!
 </p>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
 const app = Vue.createApp({
```

```
  data() {
   return {
     typewritersInStock: true
   }
  }
 })
 app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

მომდევნო სცენარში კი წარმოდგენილია ამ სამივე დირექტივის გამოყენების მაგალითი:

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
  <title>My first Vue page</title>
  <style>
    #app {
      border: dashed black 1px;
      width: 130px;
      padding-left: 20px;
      font-weight: bold;
      background-color: lightgreen;
    }
  </style>
</head>
<body>
<h1>Example with 'v-if', 'v-else-if' and 'v-else'</h1>
```

```
<h3 align="center"> Vue-ეგზემპლარში 'typewriterCount-ისათვის
        მნიშვნელობა შეცვალეთ ჯერ 0-ისა და შემდეგ 5-ის ტოლი
        სიდიდეებით და სცენარი ხელახლა გაუშვით შესრულებაზე!
</h3>
<h2>We sell typewriters</h2>
<img src="img_typewriter.png" alt="typewriter" width="202"
            height="135">
<div id="app">
 <p v-if="typewriterCount>3">
        გაყიდვაშია
 </p>
 <p v-else-if="typewriterCount>0">
  გვაქვს მცირე რაოდენობით!
 </p>
 <p v-else> შემოგვიარეთ ერთი კვირის შემდეგ! </p>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
 const app = Vue.createApp({
  data() {
   return {
    typewriterCount: 3
   }
  }
 })
 app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

ამავე სცენარში ნაჩვენებია, თუ როგორი გზით არის შესაძლებელი მონიტორზე ნახატის (გრაფიკის) გამოყვანაც:

სურ. 2.1

ამგვარი სახის ამოცანების გადასაწყვეტად Vue.js_ში გათვალისწინებულია სხვა მიდგომებიც.

განვიხილოთ ისინი:

v-if დირექტივისათვის Vue-ფრეიმვორკში დასაშვები არის პარამეტრის დამბრუნებული ფუნქციისათვის «true» ან «false» მნიშვნელობების გამოყენებაც.

მაგალითად, თუ რაიმე ტექსტი თავის თავში შეიცავს ტერმინ „პიცას“ (მოვთავსოთ ეს ტექსტი, დავუშვათ, <h3>…. </h3> ტეგებში), JavaScript-ენისავე კუთვნილი includes() მეთოდით შესაძლებელი ხდება გავიგოთ, ამ ელემენტში მოთავსებული ტექსტი შეიცავს თუ არა ჩვენთვის საინტერესო ტერმინს.

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
  <title>'v-if' დირექტივის დახმარებით შეკვეთის
განხორციელება</title>
  <style>
    #app {
      border: dashed black 1px;
      width: 130px;
      padding: 0 20px 20px 20px;
      font-weight: bold;
      background-color: lightgreen;
    }
    img {
```

```
    width: 100%;
   }
  </style>
</head>
<body>
<h2> ტექსტის შემოწმების მეშვეობით არჩევანის გაკეთება</h2>
<h2> ამ მაგალითში 'v-if' დირექტივა შედარების ოპერატორის
ნაცვლად იყენებს 'includes()' მეთოდს.
</h2>
    <h3>Vue-ს ეგზემპლარის 'text'-თვისების შემცველობიდან
    ამოაგდეთ ტერმინი 'პიცა' და სცენარი ხელახლა გაუშვით
    შესრულებაზე.
</h3>
<div id="app">
  <div v-if="text.includes('პიცა')">
    <p> text-თვისება (ანუ მენიუ) შეიცავს ტერმინ 'პიცას'. </p>
  </div>
  <p v-else>ტერმინი 'პიცა' ტექსტში (მენიუში) ვერ იქნა ნაპოვნი.</p>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
   data() {
    return {
      text: 'მწვადი, ჩიხირთმა, სალათა, პიცა, ნაყინი, ყავა.'
    }
   }
  })
    app.mount('#app')
</script>

</body>
</html>
```

სცენარში შევიტანოთ გრაფიკაც:

```
<!DOCTYPE html><html>
<head>
  <title>'v-if' დირექტივის დახმარებით შეკვეთის
განხორციელება</title>
  <style>
    #app {
      border: dashed black 1px;
      width: 130px;
      padding: 0 20px 20px 20px;
      font-weight: bold;
      background-color: lightgreen;
    }
    img {
      width: 100%;
    }
  </style>
</head>
<body>
 <center>
  <h2> ტექსტის შემოწმების მეშვეობით არჩევანის გაკეთება</h2>
  <h2> ამ მაგალითში 'v-if' დირექტივა შედარების ოპერატორის
ნაცვლად იყენებს 'includes()' მეთოდს.</h2>
  <h3>Vue-ს ეგზემპლარის 'text'-თვისების შემცველობიდან
ამოაგდეთ ტერმინი 'პიცა' და სცენარი ხელახლა გაუშვით
შესრულებაზე.
  </h3>
 </center>
<div id="app">
  <div v-if="text.includes('პიცა')">
```

```
   <p> text-თვისება შეიცავს ტერმინ 'პიცას'. </p>
   <img src="პიცა.png">
  </div>
  <p v-else>ტერმინი 'პიცა' 'text'-თვისებაში (ანუ მენიუში) ვერ იქნა ნაპოვნი.</p>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
   data() {
    return {
      text: 'მწვადი, ჩიხირთმა, პიცა, სალათა, ნაყინი, ყავა.'
    }
   }
  })
   app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

მენიუში საძიებო ელემენტის მოძებნის შემთხვევაში მონიტორზე აისახება მისი გრაფიკული გამოსახულებაც.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, Vue-ფრეიმვორკის დახმარებით შესაძლებელია დაიწეროს ისეთი სცენარები, რომელთა მეშვეობით გაცილებით უფრო მარტივდება მონიტორზე HTML-ელემენტების ასახვა და მათი მართვა, ვიდრე მაშინ, როდესაც სცენარში გამოიყენება მხოლოდ ტრადიციული JavaScript ენისათვის კუთვნილი ოპერატორები.

2.5. v-show დირექტივა

v-show დირექტივის მეშვეობით შესაძლებელი ხდება შესაბამისი სახის პირობის შემოწმების შედეგად მონიტორზე ელემენტების ასახვა ან დამალვა. ამასთან, ეს პირობა ჩაიწერება უშუალოდ HTML-ელემენტის საწყისი ტეგის ატრიბუტში.

მოვიყვანოთ მაგალითი:

```
<div v-show="showDiv">
    ეს div ელემენტი შესაძლებელია როგორც დავმალოთ,
    ასევე ხელახლა ავსახოთ მონიტორზე.
</div>
```

ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში «showDiv» წარმოადგენს Vue-ფრეიმვორკის ეგზემპლარის თვისებას - ლოგიკური ტიპის მონაცემს, რომელსაც შეუძლია მიიღოს «true» ან «false» მნიშვნელობა.

პირველ შემთხვევაში მონიტორზე აისახება ელემენტი, მეორეში - არა.

მოვიყვანოთ მაგალითი:

```
<div v-show="showDiv">This div tag can be hidden</div>
  <script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
  <script>
    const app = Vue.createApp({
      data() {
        return {
          showDiv: true
        }
```

```
  }
 })
 app.mount('#app')
</script>
```

აქვე აღვნიშნავთ, რომ v-if დირექტივის მეშვეობით ელემენტი იქმნება შესაბამისი პირობის შესრულების შემთხვევაში, ხოლო v-show დირექტივა კი ახდენს უკვე შექმნილი ელემენტის მონიტორზე ასახვა-დამალვას.

მიჩნეულია, რომ v-show დირექტივის გამოყენების შემთხვევაში პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს და მომხმარებელთან ურთიერთობაც მარტივდება, v-if დირექტივის უპირატესობა კი ის გახლავთ, რომ მასთან ერთად დასაშვებია v-else-if და v-else დირექტივების გამოყენებაც.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ორი სხვადასხვა -ელემენტისათვის ცალ-ცალკე არის გამოყენებული v-show და v-if დირექტივები Vue-ეგზემპლარის ერთი და იმავე თვისებისათვის. ამასთან, v-show დირექტივის შესრულებისას არ ნადგურდება შესაბამისი -ელემენტი, მხოლოდ ხდება ის, რომ მასთან დაკავშირებულ CSS-ეფექტებს მნიშვნელობად განისაზღვრებათ «none».

რაც შეეხება v-if დირექტივის შესრულების შედეგს, ანუ მასთან დაკავშირებულ ელემენტზე ზემოქმედებას, ეს ელემენტი ნადგურდება.

რჩევა: ორი ელემენტი მხოლოდ მაშინ ასახეთ მონიტორზე, თუ showDiv თვისებისათვის მნიშვნელობად დანიშნულია «true». «false»-ს არჩევის შემთხვევაში მონიტორზე შევამჩნევთ, რომ v-if დირექტივის შესრულებამ გამოიწვია მასთან მიბმული -ის **განადგურება,** v-show-მა კი გავლენა მოახდინა

ასეთივე -ელემენტის შიგთავსის მხოლოდ ვიზუალურ მხარეზე (CSS-ისთვის მნიშვნელობად «none»-ის დანიშვნის გამო).

ჯერ ყურადღება მივაქციოთ სცენარში შესატან მთავარ ცვლილებებს, შემდეგ კი ვიხილოთ მთელი ფაილი, შესრულებაზე გავუშვათ იგი და გავითვალისწინოთ მონიტორზე გამოსული მითითებები:

```
<div id="app">
  <div v-show="showDiv">Div tag with v-show</div>
  <div v-if="showDiv">Div tag with v-if</div>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
    data() {
      return {
        showDiv: true
      }
    }
  })
  app.mount('#app')
</script>
```

მაგალითი_1

```
<!DOCTYPE html>
<html>
```

```
<head>
  <title>v-show vs. v-if</title>
  <style>
    #app {
      border: black dashed 1px;
      width: 80%;
      padding: 0 20px 20px 20px;
    }
    #app div {
      padding: 20px;
      margin: 10px;
      display: inline-block;
      font-weight: bold;
      border: solid black 1px;
    }
    #app p {
      padding: 10px;
      background-color: rgb(200, 246, 200);
    }
  </style>
</head>
<body>
<h1>Example: v-show vs. v-if</h1>
<div id="app">
<p> showDiv-ს მნიშვნელობად განუსაზღვრეთ false და სცენარი
    ხელახლა გაუშვით შესრულებაზე. თაგვის მარჯვენა ღილაკით
    დააწკაპუნეთ მწვანედ შეფერილ ამ p-ელემენტზე, ამოირჩიეთ
    პუნქტი 'Inspect' (შემოწმდეს) ანდა (შემოწმდეს ელემენტი) და
    დავინახავთ, რომ v-show-დირექტივის მქონე div ელემენტი
```

კვლავ არსებობს, მაგრამ მისთვის შეიცვალა მონიტორზე ასახვის CSS-თვისებები მათთვის 'none' მნიშვნელობის მინიჭების გამო, ხოლო v-show-დირექტივის მქონე v-if ელემენტი განადგურებულია.

```
</p>
  <div v-show="showDiv">Div-ელემენტი, მართული v-show-დირექტივით</div>
  <div v-if="showDiv">Div-ელემენტი, მართული v-if-დირექტივით</div></div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
 const app = Vue.createApp({
  data() {
   return {
    showDiv: true
   }
  }
 })
app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

2.6. v-for დირექტივა

"სუფთა" Javascript-ის ოპერატორებით სარგებლობისას, კერძოდ, for-ციკლში მასივის დამუშავებისას, შესაძლებელია ამ მასივის ელემენტების ამა თუ იმ სახით ასახვა მონიტორზე, მაგრამ, ამის შემდეგ მასივში შეტანილ ცვლილებებზე მონიტორი აღარ რეაგირებს.

სწორედ ამ ნაკლის გამოსწორება არის შესაძლებელი v-for დირექტივის მეშვეობით.

განვიხილოთ ეს მიდგომა მონიტორზე ასახული ამ სიის მაგალითზე:

```
<ol>
  <li v-for="x in manyFoods">{{ x }}</li>
</ol>
```

მაგალითი_1

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
  <title>My first Vue page</title>
  <style>
    #app > div {
      border: solid black 1px;
      width: 80%;
      padding: 10px;
      display: flex;
      flex-wrap: wrap;
    }
    img {
      width: 70px;
      margin: 10px;
    }
  </style>
</head>
<body>
<center>
```

```
<h2> ამ სცენარში მოყვანილია li-ტეგების შესაქმნელად «v-for» დირექტივის გამოყენების მაგალითი.
</h2>
<p>'v-for' დირექტივით ფორმირებული თითოეული 'li'-ტეგი შეიცავს ამა თუ იმ პროდუქტის დასახელებას, გადმოკოპირებულს Vue-ეგზემპლარში არსებული მასივიდან.
</p>
</center>
<div id="app">
  <ol>
    <li v-for="x in manyFoods">{{ x }}</li>
  </ol>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
   data() {
    return {
      manyFoods: [
        'Burrito',
        'Salad',
        'Cake',
        'Soup',
        'Fish',
        'Pizza',
        'Rice'
      ]
    }
   }
```

```
 })
   app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

დავალება: გაეცანით ქვემოთ მოყვანილი ორი ფაილის შემცველობას, გააანალიზეთ მათი დანიშნულება, მიღებული შედეგები და მათ ბაზაზე დაწერეთ მსგავსი ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო კოდები სხვადასხვა საგნობრივი სფეროსათვის, როგორიც არის, მაგალითად, თქვენი ჯგუფი, ბიბლიოთეკა, ფეხბურთის ან სხვა სპორტის სახეობებში გუნდი, ქართული ღვინოები, სასწავლო საგნების ჩამონათვალი, ...)

მაგალითი_1

```
<!DOCTYPE html>

<html>
<head>
 <title>My first Vue page</title>
 <style>
   #app > div {
    border: solid black 1px;
    width: 80%;
    padding: 10px;
    display: flex;
    flex-wrap: wrap;
    justify-content: space-around;
   }
   img {
```

```
    width: 70px;
    margin: 10px;
   }
  </style>
</head>
<body>

<h1>Example 'v-for' to create images</h1>
<p>The 'v-for' directive is used to create images based on the 'manyFoods'
                array in the Vue instance.</p>

<div id="app">
  <div>
   <img v-for="x in manyFoods" v-bind:src="x">
  </div>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>

<script>
  const app = Vue.createApp({
   data() {
    return {
     manyFoods: [
      'img_burrito.svg',
      'img_salad.svg',
      'img_cake.svg',
      'img_soup.svg',
      'img_fish.svg',
      'img_pizza.svg',
      'img_rice.svg'
```

```
    ]
   }
  }
 })
  app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

მაგალითი_2

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
 <title>Vue page</title>
 <style>
  #app > div {
   border: solid black 1px;
   width: 80%;
   padding: 10px;
   display: flex;
   flex-wrap: wrap;
   justify-content: space-around;
  }
  figure {
   width: 80px;
   padding: 10px;
   margin: 10px;
   background-color: lightskyblue;
   border-radius: 5px;
```

```
    }
    figcaption {
      text-align: center;
    }
    img {
      width: 100%;
    }
  </style>
</head>
<body>

<h1>Example 'v-for' to create images and text</h1>
<p>The 'v-for' directive is used to create images and text based on the
                    'manyFoods' array in the Vue instance.</p>
<div id="app">
  <div>
    <figure v-for="x in manyFoods">
      <img v-bind:src="x.url">
      <figcaption>{{ x.name }}</figcaption>
    </figure>
  </div>
 </div>

<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>

<script>
  const app = Vue.createApp({
   data() {
    return {
      manyFoods: [
       {name: 'Burrito', url: 'img_burrito.svg'},
```

```
      {name: 'Salad', url: 'img_salad.svg'},
      {name: 'Cake', url: 'img_cake.svg'},
      {name: 'Soup', url: 'img_soup.svg'},
      {name: 'Fish', url: 'img_fish.svg'},
      {name: 'Pizza', url: 'img_pizza.svg'},
      {name: 'Rice', url: 'img_rice.svg'}
    ]
   }
  }
 })
   app.mount('#app')
</script>

</body>
</html>
```

შემდეგ, v-for დირექტივის დახმარებით შესაძლებელია მასივში არსებული ობიექტების როგორც ინდექსის, ასევე, მენიუს თითოეული პუნქტისათვის ამ ობიექტის სახელის და მაილუსტრირებელი გრაფიკული ფაილების URL-მისამართების მონიტორზე გამოყვანა.

განვიხილოთ მაგალითი:

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
 <title>Vue page</title>
 <style>
  #app > div {
   display: inline-block;
   border: dashed black 1px;
```

```
    padding: 10px;
    background-color: lightgreen;
   }
   #app p {
    font-weight: bold;
    margin: 5px 0;
   }
  </style>
</head>
<body>
<p> v-for დირექტივა გამოიყენება «manyFoods» მასივში არსებული
      ობიექტების როგორც ინდექსის, ასევე - მენიუს თითოეული
      პუნქტისათვის სახელისა და URL-მისამართის
      დასაფიქსირებლად.
</p>
<div id="app">
  <div>
   <p v-for="(x, index) in manyFoods">
    {{ index }}: "{{ x.name }}", url: "{{ x.url }}" <br>
   </p>
  </div>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
   data() {
    return {
     manyFoods: [
      {name: 'Burrito', url: 'img_burrito.svg'},
```

```
      {name: 'Salad', url: 'img_salad.svg'},
      {name: 'Cake', url: 'img_cake.svg'},
      {name: 'Soup', url: 'img_soup.svg'},
      {name: 'Fish', url: 'img_fish.svg'},
      {name: 'Pizza', url: 'img_pizza.svg'},
      {name: 'Rice', url: 'img_rice.svg'}
    ]
  }
 }
})
   app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

2.7. Vue-ფრეიმვორკში ხდომილობები (Events) და მათი დამუშავება

Javascript-ენის სცენარების შესრულებისას, როგორც წესი, ადგილი აქვს როგორც მომხმარებლის, ასევე სისტემის მიერ ინსპირირებულ მოვლენებს - **ხდომილობებს.**

მათზე რეაგირებენ **ხდომილობათა დამმუშავებლები** - კონკრეტული ხდომილობის დამუშავებისათვის გათვალისწინებული კოდები.

Vue-ფრეიმვორკში ამა თუ იმ ხდომილობაზე შესაბამისი რეაგირება ხორციელდება **v-on დირექტივის** მეშვეობით.

v-on დირექტივასთან კავშირდება ხდომილების დასახელება, რათა ბროუზერს ეცნობოს, რომლის მოლოდინში იყოს ის (რომელს „უსმენდეს“) და, იმისდა მიხედვით, იქნება ეს,

მაგალითად, თაგვის მარცხენა თუ მარჯვენა ღილაკზე დაწკაპუნება, რომელი წესების მიხედვით იმოქმედოს.

ხდომილობების დასამუშავებლად **Vue**-ფრეიმვორკში იყენებენ **v-on მეთოდებსაც.**

მეთოდში განთავსდება შედარებით უფრო რთული კოდი, რომლის გაწყობაც ხდება პროცესის უკეთ მართვისათვის. მასზე მიმართვა ხდება HTML-ელემენტის ატრიბუტიდან, მაგალითად, ამგვარად:

```
<p v-on:click="changeColor">დააწკაპუნეთ აქ!</p>
```

ამავე მიზნით, ასევე გამოიყენება **v-on მოდიფიკატორებიც.**

მოდიფიკატორების შესაძლებელობებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება, კიდევ უფრო დეტალურად აღიწეროს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კოდის მოდიფიცირება და შესაბამისად, ხდომილობებზე რეაგირება დასახული მიზნის უფრო მარტივად მისაღწევად.

ამრიგად, **Vue**-ფრეიმვორკში ხდომილობების ინსპირი-რებისა და მათზე რეაგირებისათვის გათვალისწინებულია 3 შესაძლებლობა:

1. დირექტივები,
2. მეთოდები,
3. მოდიფიკატორები

2.8. v-on დირექტივა

მომხმარებლის მიერ v-on დირექტივის გამოყენება - ამა თუ იმ ხდომილობისათვის გათვალისწინებული კოდის გაშვება - ხდება <button>-ღილაკზე თაგვით დაწკაპუნებისას.

ვაჩვენოთ ამ მიდგომის გამოყენების მაგალითი:

```
<!DOCTYPE html>
```

```
<html>
<head>
  <title>Count Moose</title>
  <style>
    #app {
      border: dashed black 1px;
      width: 200px;
      padding: 20px;
    }
    img {
      width: 100%;
    }
  </style>
</head>
<body>
 <center>
 <h3>ოპერატიულად დავითვალოთ "button"-ელემენტზე
       თაგვით დაწკაპუნებების რიცხვი და ავსახოთ ის
       მონიტორზე!
 </h3>
 <div id="app">
<!-- ქვემოთ ელემენტში მოთავსებულ ფიგურულ
ფრჩხილებში აისახება <button>-ღილაკზე დაწკაპუნებათა რიცხვი,
რომლის საწყის ტეგში არის განთავსებული არის v-on დირექტივა
და იქვე მითითებულია  მასთან დაკავშირებული click ხდომილობა
-->
   <h4>{{ "თქვენ button-ღილაკზე დააწკაპუნეთ " + count +"-
ჯერ!" }}</h4>
```

```
        <button v-on:click="count++"><b>დააწკაპუნეთ!</b></button>
      </div>
      <script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
      <script>
        const app = Vue.createApp({
          data() {
            return {
              count: 0
            }
          }
        })
        app.mount('#app')
      </script>
      </body>
      </html>
```

შევნიშნავთ, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითში დასახული ამოცანის შესასრულებლად თუ მხოლოდ „სუფთა“ JavaScript-ის ოპერატორებით ვისარგებლებდით, ასეთ შემთხვევაში ღილაკზე დაწკაპუნებათა რიცხვის მონიტორზე ოპერატიულად ჩვენებისათვის საჭირო იქნებოდა კოდში კიდევ ერთი სტრიქონის დამატება.

ამ მაგალითში მივმართავდით <button>-ღილაკზე თაგვის ღილაკზე დაწკაპუნებით გამოწვეულ ხდომილობას, საერთოდ კი, Javascript-ენასა და შესაბამისად, Vue.js ფრეიმვორკში მრავალი სახის ხდომილობა არსებობს.

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილია რამდენიმე ყველაზე უფრო მეტად გამოყენებადი ხდომილობები, ხოლო მათი თითქმის სრული სია განთავსებულია **დანართი_1**-ში:

Event	Occurs When	Belongs To
click	ელემენტზე დაწკაპუნება	UiEvent, Event
keypress	კლავიშზე ხელის დაჭერა	MouseEvent
mouseover	კურსორის (თაგვის მაჩვენებლის) დაყენება	MouseEvent
copy	ელემენტის შემცველობის კოპირება	ClipboardEvent
cut	ელემენტის შემცველობის ამოჭრა	ClipboardEvent
paste	ელემენტში კონტენტის ჩასმა	MouseEvent
input	ელემენტს მომხმარებლისგან მიეწოდება ინფორმაცია	DragEvent
submit	ფორმა გაიგზავნა	ClipboardEvent

2.9. მეთოდები

Vue ფრეიმვორკში მეთოდი წარმოდგენილი არის ფრეიმვორკის ეგზემპლარის თვისებაში ჩაწერილი ფუნქციის სახით და მისი გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ ხდომილობებზე რეაგირებისათვის.

ერთ-ერთ წინა მაგალითში ჩვენ უკვე გამოყენებული გვქონდა Vue-ეგზემპლარის «data» თვისება.

ამჯერად ამ თვისებით ვისარგებლოთ შემოვლითი გზით, როდესაც მისდამი მიმართვა ხდება დირექტივიდან გამომახებული მეთოდიდან.

აქვე ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ თვითონ **მეთოდიც (მეთოდები) Vue-ეგზემპლარის თვისებად** ითვლება, უფრო ზუსტად მის ისეთ ნაირსახეობად, რომელიც წარმოადგენს ფუნქციას (ან ფუნქციებს).

ამასთან, ხშირ შემთხვევაში ფუნქცია Vue-ფრეიმვორკის იმავე ეგზემპლარში დაფიქსირებულ თვისებებს იყენებს, ოღონდ მათდამი მიმართვისას თვისების სახელწოდებას წინ წარუმძღვარებს this პრეფიქსს.

მაგალითი:

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
 <title>Click To Run Method</title>
 <style>
  #app {
   border: black dashed 1px;
   width: 200px;
   padding: 0 20px 20px 20px;
  }
```

```
    #app > div {
      width: 140px;
      height: 60px;
      background-color: lightgreen;
      padding: 20px;
      font-weight: bold;
      font-family: 'Courier New', Courier, monospace;
    }
  </style>
</head>
<body>
<h1> მეთოდის გამოძახება</h1>
<div id="app">
  <p>მეთოდის გამოსაძახებლად დააწკაპუნეთ ქვემოთ არეზე:</p>
  <div v-on:click="changeText">
   {{ text }}
  </div>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
    data() {
      return {
        text: ''
      }
              },
    methods: {
                changeText() {
        this.text = 'Hello World!'
      }
    }
  })
      app.mount('#app')
```

```
</script>
</body>
</html>
```

მონიტორზე გამოსული ინსტრუქციის შესრულების შედეგი იქნება Vue-ფრეიმვორკის ეგზემპლარში არსებული მეთოდის გამოძახება, რომელიც თავის მხრივ მიმართავს ამავე ეგზემპლარში არსებულ ერთ-ერთ თვისებას და ეკრანზე გამოიტანს ამ თვისებისათვის მნიშვნელობად მინიჭებულ ტექსტს.

განვიხილოთ უფრო რთული და შესაბამისად, მომხმარებლისათვის უფრო მეტი შესაძლებლობების მიწოდების მაგალითი.

ქვემოთ წარმოდგენილ სცენარში ელემენტში მითითებულ v-on დირექტივის შესრულებაზე გაშვებით და შესაბამისად, mousemove-ხდომილობის გამოწვევით, გამოიძახება mousePos მეთოდი.

შედეგად, ადგილზე გადმოიცემა **ხდომილობის ობიექტის** შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, თუ რა თვისებებით ხასიათდება ეს მიზნობრივი ობიექტი, რომელი სახის ხდომილობასთან გვაქვს საქმე, როგორია მოცემულ მომენტში სცენარის შესასრულებლად საჭირო პარამეტრების მნიშვნელობები, კერძოდ, ოპერატიული მონაცემები თაგვის მაჩვენებლის პოზიციების შესახებ.

ადრეც აღვნიშნავდით და კიდევ ერთხელ **მივაქციოთ ყურადღება**, რომ მეთოდიდან ფრეიმვორკის მოცემული ეგზემპლარის შიგნით არსებულ თვისებისადმი მიმართვისას ამ თვისების სახელს წინ უნდა წარემძღვაროს This-პრეფიქსი.

მაგალითი

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
  <title>თაგვის მაჩვენებლის პოზიციის დაფიქსირება</title>
```

```
  <style>
    #app {
      border: black dashed 1px;
      width: 200px;
      padding: 0 20px 20px 20px;
    }
    #app > div {
      width: 160px;
      height: 80px;
      background-color: lightcoral;
      padding: 20px;
    }
    #app span {
      font-weight: bold;
      font-family: 'Courier New', Courier, monospace;
    }
  </style>
</head>
<body>
<h1></h1>
<div id="app">
  <p>თაგვის მაჩვენებელი მოათავსეთ ქვემოთ არეზე და ამოძრავეთ
მასზე:</p>
  <div v-on:mousemove="mousePos">
    <span>xPos: {{ xPos }}</span><br><span>yPos: {{ yPos }}</span>
  </div>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
    data() {
      return {
        xPos: 0,
```

```
      yPos: 0
    }
  },
  methods: {
    mousePos(event) {
      this.xPos = event.offsetX
      this.yPos = event.offsetY
    }
  }
 })
        app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

რამდენადმე გავართულოთ ამოცანა: მიზნად დავისახოთ, რომ არეზე თაგვის მაჩვენებლის მოძრაობისას დინამიკურად იცვლებოდეს ამ არის ფონის ფერი.

ვახდენთ კოდის მოდიფიცირებას - სცენარში ვამატებთ **v-bind** დირექტივას და hsl-ის მნიშვნელობის xPos-ისთან დაკავშირებით ვქმნით style-ში ფონის ფერის ცვლილების შესაძლებლობას.

კოდში ვითვალისწინებთ ასეთ ფრაგმენტს:

```
<div
 v-on:mousemove="mousePos"
 v-bind:style="{backgroundColor:'hsl('+xPos+',80%,80%)'}">
</div>
```

მაგალითი

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
 <title>თაგვის მაჩვენებლის პოზიციის დაფიქსირება</title>
 <style>
```

```
    #app {
      border: black dashed 1px;
      width: 400px;
      padding: 0 20px 20px 20px;
    }
    #app > div {
      width: 360px;
      height: 100px;
      background-color: lightcoral;
    }
    #app span {
      font-weight: bold;
      font-family: 'Courier New', Courier, monospace;
      margin: 20px;
    }
  </style>
</head>
<body>
<h3 align="center">თაგვის მაჩვენებლის პოზიციის ცვლით
     ზემოქმედებას ვახდენთ <br/> მონიტორზე გამოტანილ
     გამოსახულებაზე!
</h3>
<div id="app">
 <p>თაგვის მაჩვენებელი მოათავსეთ ქვემოთ არეზე და ამოძრავეთ
მასზე:</p>
  <div v-on:mousemove="mousePos" v-bind:style  =
        "{backgroundColor:'hsl('+xPos+',80%,80%)'}">
    <br><span>xPos: {{ xPos }}</span><br><span>yPos: {{ yPos }}</span>
  </div>

<p>CSS:<br>backgroundColor:'hsl(<strong>{{xPos}}</strong>,80%,80%)'<
/p>
</div>
```

```
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
    data() {
      return {
        xPos: 0,
        yPos: 0
      }
    },
    methods: {
      mousePos(event) {
        this.xPos = event.offsetX
        this.yPos = event.offsetY
      }
    }
  })
          app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

ამჯერად განვიხილოთ ისეთი ამოცანა, როდესაც გვსურს ხდომილობის ობიექტი შეიცავდეს ტექსტს, აკრეფილს მომხმარებლის მიერ <textarea>-ელემენტში, რათა შესაძლებელი გახდეს მისით, როგორც ბლოკნოტით, სარგებლობა.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში v-on დირექტივა შეიცავს <textarea> ელემენტს, რომელიც „უსმენს“ input-ხდომილობას, რომლის ამოქმედებაც ხდება ამ ელემენტში ტექსტის ყოველი ცვლილებისას.

ამ დროს გამოძახებული writeText მეთოდი დუმილით გადმოაგზავნის ხდომილობის ობიექტს, რათა წაკითხულ იქნას ტექსტი <textarea> ელემენტიდან.

Vue-ეგზემპლარში text თვისების განახლება ხდება writeText მეთოდით.

დაბოლოს, Vue -ფრეიმვორკი ზრუნავს span ელემენტში არსებულ ორმაგ ფიგურულ ფრჩხილებში, არსებული ტექსტის ავტომატურად განახლებაზე.

ვხედავთ, რომ ამ ორმაგ ფრჩხილებში მითითებულია სწორედ ეს text თვისება.

მაგალითი

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
  <title>Notebook-ის იმიტაცია</title>
  <style>
    #app {
      border: black dashed 1px;
      width: 300px;
      padding: 20px;
    }
    #app > div {
      width: 100%;
      position: relative;
      margin-top: 10px;
      aspect-ratio: 1;
      background-image: url("Note.png");
      background-size: 340%;
      background-position: -345px 0;
      overflow: hidden;
    }
    #app span {
      width: 80%;
```

```
    font-weight: bold;
    font-family: 'Courier New', Courier, monospace;
    line-height: 1.2em;
    transform-origin: 0 0;
    rotate: 33deg;
    position: absolute;
    top: 50px;
    left: 70px;
   }
   #app textarea {
    width: 100%;
    box-sizing: border-box;
   }
  </style>
</head>
<body>
<h1>Notebook</h1>
<div id="app">
  <textarea v-on:input="writeText" rows="8" cols="30" placeholder="Start
writing.."></textarea>
  <div>
   <span>{{ text }}</span>
  </div>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
   data() {
    return {
     text: ''
    }
   },
   methods: {
```

```
    writeText(event) {
      this.text = event.target.value
    }
  }
})
    app.mount('#app')
</script>
</body>
</html>
```

სურ. 2.2

2.10. მეთოდისათვის არგუმენტის გადაცემა

ვაჩვენოთ ერთი და იმავე მეთოდის გამოძახებისას მისთვის <button>-ღილაკების მეშვეობით არგუმენტის სხვადასხვა მნიშვნელობის გადაცემის მაგალითი:

```
<div id="app">
  <img src="img_moose.jpg">
  <p>{{ "Moose count: " + count }}</p>
  <button v-on:click="addMoose(+1)">+1</button>
  <button v-on:click="addMoose(+5)">+5</button>
  <button v-on:click="addMoose(-1)">-1</button>
</div>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
```

```
  data() {
    return {
      count: 0
    }
  },
  methods: {
    addMoose(number) {
      this.count+=number
    }
  }
 })
 app.mount('#app')
</script>
```

დავალება: სცადეთ ზემოთ მოყვანილ კოდის მოდიფიცირება იმგვარად, რომ მეთოდისათვის გადასაცემი პარამეტრის მნიშვნელობა შეირჩეოდეს დიალოგის რეჟიმში და ამის შემდეგ თქვენი ვარიანტი შეადარეთ ქვემოთ მოყვანილს.

```
<!DOCTYPE html>
<center>
<div id="app">
  <img src="ნიკალა.png">
  <h4>{{ "ვამატებთ შემოსწრებულ სტუმართა რიცხვს. ამ მომენტისათვის მათი რაოდენობა არის " + count + "." }}</h4>
  <button v-on:click="addMoose(+0)"><h3> ვამატებთ ამ ღილაკით!</h3></button>
</div>
</center>
<script src="https://unpkg.com/vue@3/dist/vue.global.js"></script>
<script>
  const app = Vue.createApp({
```

```
  data() {
    return {
     count: 0.0
    }
  },
  methods: {
    addMoose(number) {
      number = prompt("შეიტანეთ რიცხვი ", "0")
      this.count += Number(number);
    }
  }
 })
app.mount('#app')
</script>
```

სურ. 2.3 ნიკალა - ხუთი თავადის ქეიფი

2.11. მეთოდი არგუმენტისა და ხდომილობის ობიექტის პარამეტრებით

დასახული მიზანი - *მეთოდის გამოძახებისას მის მიერ Vue-ფრეიმვორკის ეგზემპლარში არგუმენტის მნიშვნელობისა და ხდომილობის ობიექტის მოძიება და გამოძახების ადგილზე*

გადაცემა - მიიღწევა მისი გამოძახების ადგილზე კოდის შემდეგი ფრაგმენტის შეტანით:

```
<button v-on:click="addAnimal($event, 5)">+5</button>
```

ამ შემთხვევაში მეთოდის სახელად შერჩეულია addAnimal, თუმცა შესაძლებელია, ის, ფაქტობრივად, ნებისმიერი იყოს, განსხვავებით $event პარამეტრის სახელწოდებისაგან.

თვით Vue-ფრეიმვორკის ეგზემპლარში განთავსებული მეთოდისათვის კოდი კი, მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს:

```
methods: {
  addAnimal(e, number) {
    if(e.target.parentElement.id==="tigers"){
      this.tigers = this.tigers + number
    }
  }
}
```

ქვემოთ მოყვანილია გამოძახებული მეთოდის მეშვეობით ადგილზე ხდომილობის ობიექტისა და კიდევ ერთი არგუმენტის (მოცემულ შემთხვევაში ტექსტური შეტყობინების) გადაცემის მაგალითი:

```
<!DOCTYPE html>
<html>
<head>
  <title> ხდომილობის ობიექტის და კიდევ ერთი არგუმენტის გადმოგზავნა </title>
  <style>
    #app {
      border: dashed black 1px;
      width: 180px;
      padding: 10px;
    }
    #app img {
```

```
    width: 100%;
   }
   #green {
    background-color: lightgreen;
    display: inline-block;
   }
  </style>
</head>
<body>
